ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№45

ქ. თბილისი; 24 მაისი 2019 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **ნინო კვეტენაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მერაბ მამულაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **მარიამ ჩივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - **სანდრო ტოგონიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **თინათინ ყოლბაია**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.06.003.048) და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. #30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. “ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე (ყოფილი ოჟიოს) არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: #01.10.13.033.926; #01.10.13.033.927; #01.10.13.033.159) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ და 1680 კვ.მ მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.14.06.006.091; N01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.069.014) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუს N19-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.03.032.001) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II-ის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.020.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.006.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.020) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების

თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N117-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.099) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.523) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/21) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.387.01.01.012) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/21) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71.26 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: N72.13.03.111) დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. "ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:

№01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის (ს/ნ: 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ: 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №3-ის მიმდებარედ 65 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.07.003.041) პირადი განკარგვის წესით შპს „ევროპროდუქტისთვის" (ს/ნ: 202227134) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. "ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ: 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.009) და ქ. თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯისთვის" (ს/ნ: 404398237) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. ,,ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს ,,ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N216

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. “ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. N7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. “2016 წლის 19 აპრილს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასთან (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი-N160405188) დაკავშირებით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის N19.203.308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

37. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის საკითხის ცნობის სახით მიღება.

38. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

39. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

40. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

41. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის II ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მანანა ლოლაძის სახელის და რეხის III ქუჩის მონაკვეთისთვის მანანა ლოლაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

42. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის

სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

43. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტი.

44. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

45. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

46. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

47. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

48. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

49. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

50. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

51. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორ რომან გვენცაძის სახელის მინიჭების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

52. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის **N34-115** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის შედეგად მოზიდული სახსრების დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

როგორც **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **12 000,0 ათასი (თორმეტი მილიონი)** ლარით და აღნიშნულის გათვალისწინებით, დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის ჯამური ოდენობა განისაზღვრება **1 075 101,8 ათასი** (მილიარდ სამოცდათხუთმეტი მილიონ ას ერთი ათას რვაასი) **ლარით.**

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილდა **28 046,5 ათასი ლარი**

(ოცდარვა მილიონ ორმოცდაექვსი ათას ხუთასი) შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა იზრდება 3 500,0 ათასი (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 825,4 ათასი ლარით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია – 7 000,0 (შვიდი მილიონი) ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში – 470,0 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები - 3 367,8 ათასი (სამი მილიონ სამასსამოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარით;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა – 600,0 ათასი (ექვსასი ათასი) ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში – 150,0 ათასი ლარით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება – 210,0 ათასი ლარით;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში – 189,0 ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა – 1 087,2 ათასი (მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ორასი) ლარით;
- თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – 300,0 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა – 50,0 ათასი ლარით;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა – 78,9 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა – 490,0 ათასი ლარით;
- ცხოველთა მონიტორინგი – 118,0 ათასი ლარით;
- სარეზერვო ფონდი – 500,0 (ხუთასი ათასი) ათასი ლარით;

ბატონი თალაკვაძის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ასევე მოიცავს ქვეპროგრამის - **„საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია“** დამატებას, რისთვისაც განსაზღვრული იქნება 2019 წლის გეგმა – **8 389,2 ათასი (რვა მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ორასი) ლარის ოდენობით.**

ბატონი გაიოზის თქმით, მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში მცირდება 370,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 218,0 ათასი ლარით;
- სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები – 21,0 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა – 126,4 ათასი ლარით;
- უკანონო ნაგებობების დემონტაჟი – 37,6 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში – 189,0 ათასი ლარით;
- **კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – 375,4 ათასი** ლარით;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 22,9 ათასი ლარით;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა – 8 286,0 ათასი ლარით;**
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა – 45,3 ათასი ლარით;
- **თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა – 1 087,2 ათასი ლარით;**
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა – 20,0 ათასი ლარით;
- **თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა – 2 500,0 ათასი ლარით;**
- მერიის ადმინისტრაცია - 26,7 ათასი ლარით;
- **ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) – 2 000,0 ათასი ლარით.**

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 012 951,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 910 031,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: **გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი, გრანტები 51 341,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 200 274,8 ათასი ლარი.** ბატონი გაიოზის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 075 101,8 ათასი ლარით.

ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ **ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 199 457,9 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო** განისაზღვრა (124 659,5) ათასი ლარით. ასევე, **ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს** (63 250,3) ათას ლარს, ხოლო **ვალდებულებების ცვლილება შეადგენს** 61 409,2 ათას ლარს.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ხდება ქვეპროგრამის **„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“ 1 087,2 ათასი ლარით გაზრდა,** ხოლო, ბიბლიოთეკების გაერთიანებაში მომუშავეთა რიცხოვნობა იმატებს **294 ერთეულით.** ამასთან, **მცირდება ქვეპროგრამის „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა“ სახსრები** - 1 087,2 ათასი

(მილიონ ოთხმოცდაშვილი ათას ორასი) ლარით და მცირდება დასაქმებულთა რიცხოვნობა 297 ერთეულით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას, საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი**. ასევე, მიზანშეწონილია, მიეთითოს **„ნორმატიული აქტების შესახებ“** საქართველოს ორგანული კანონის **მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი**.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სანდრო ტოგონიძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, მტკიცდება მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება და ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№10-16** დადგენილება.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სამსახურის სტრუქტურის ცვლილება და არსებული ფუნქციების ეფექტური გადანაწილება. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით, **ურბანული მართვის განყოფილება იყოფა ორ ნაწილად,** სადაც საქმიანობები თემატურად მსგავს სახეობებად დაჯგუფდება, კერძოდ - **განაშენიანების რეგულირების გეგმების მართვისა** და **სპეციალური (ზონალური) შეთანხმების განყოფილებებად.**

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ურბანული დაგეგმარებისა და განახლების განყოფილება და ურბანული პოლიტიკის განსაზღვრისა და კვლევის განყოფილება ერთიანდება ერთ განყოფილებად - **„ურბანული პოლიტიკისა და დაგეგმარების განყოფილება,"** სადაც ერთად იქნება თავმოყრილი, კვლევითი, პოლიტიკის განსაზღვრის დაგეგმარებითი, სტანდარტიზაციის მიმართულებით და სხვა რელევანტური საქმიანობები.

ბატონი სანდროს თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, წითელი ხაზების კორექტირების თაობაზე (გარდა გამიჯვნა/გაერთიანებისა) პოზიციის დაფიქსირების ფუნქციის გადატანა მოიაზრება, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში.**

დასასრულს **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, სამსახურის უფროსის მოადგილეების რაოდენობა იზრდება და განისაზღვრება -**3 (სამი) მოადგილით.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტიდან ამოღებულ უნდა იქნეს **მე-2 მუხლი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სანდრო ტოგონიძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 16 იანვრის N10-19** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10-19 დადგენილებით დამტკიცებულ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხაში.

მომხსენებლის თქმით:

- ✓ პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე დაემატა 1 საშტატო ერთეული, შესაბამისად ნაცვლად ორი მოადგილისა განისაზღვრა სამი მოადგილით.
- ✓ მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსის) თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 2000 ლარისა განისაზღვრა 2800 ლარის ოდენობით.
- ✓ მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დაემატა 3 საშტატო ერთეული, შესაბამისად ნაცვლად 3 საშტატო ერთეულისა განისაზღვრა 6 საშტატო ერთეულით. თანამდებობრივი სარგო მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე ნაცვლად 1500 ლარისა განისაზღვრა 2400 ლარის ოდენობით.
- ✓ მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალ ისტის პოზიციაზე დაემატა 3 საშტატო ერთეული, შესაბამისად ნაცვლად 18 საშტატო ერთეულისა განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით. თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 1300 ლარის განისაზღვრა 1800 ლარით.
- ✓ მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიციაზე დაემატა 2 საშტატო ერთეული, შესაბამისად ნაცვლად 4 საშტატო ერთეულისა განისაზღვრა 6 საშტატო ერთეულით. თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 1200 ლარისა განისაზღვრა 1300 ლარით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1500 ლარით.

საკითხის წარმომდგენმა, დადგენილების ამოქმედების თარიღად, 2019 წლის 1 აგვისტო დაასახელა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის **№35-118** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№35-118** დადგენილებაში, კერძოდ, იცვლება „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" **მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.** მოქმედი წესის მიხედვით, საჭირო იყო კუმულატიურად რამდენიმე პირობის არსებობა იმისათვის, რომ განხორციელებულიყო დაფინანსება, ხოლო, წარმოდგენილი პროექტით კი **ერთ-ერთი პირობის არსებობა საკმარისია დაფინანსებისათვის („და“ კავშირი იცვლება „ან/და“ კავშირით),** ამასთან **ემატება** ჩვენება - **სიმსივნური კვანძის 2სმ-ზე მეტის ქონა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილების განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლისმე-2 პუნქტი. ასევე,** დადგენილების პროექტის პირველ მუხლში **„ვ“ ქვეპუნქტის** ნაცვლად უნდა მიეთითოს - **„ვ“პუნქტი“.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5-6-7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

- ✓ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”
- ✓ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით –ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- ✓ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, კონკრეტდება, რომ ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გათავისუფლდება ელექტრო ძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, **რომელსაც მხოლოდ ელექტროძრავა აქვს.** ასევე, ნებართვის მფლობელი ვალდებული ხდება 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, შესაბამის ელექტრონულ მისამართზე აირჩიოს მისთვის სასურველი ნებართვის ის კატეგორია („A" ან „B"), რომლითაც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან სურს ქალაქ თბილისში ტაქსით გადაყვანის განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი დადგენილ ვადაში არ აირჩევს მისთვის სასურველ ნებართვის კატეგორიას, ნებართვის გამცემი 2019 წლის პირველ ოქტომბერს, თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს („A" ან „B") კატეგორიებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, **მიანიჭებს ნებართვას „B" კატეგორიას,** ხოლო თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება არ დააკმაყოფილებს არცერთი კატეგორიისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ნებართვის მფლობელს **გაუუქმდება ნებართვა.**

ბატონი აბულაძის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ასევე კონკრეტდება, ნებართვის გაუქმების ვადის გასვლამდე **ნებართვის გაუქმების საფუძვლები.**

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ნებართვის მაძიებელი შესაბამის ველში მიუთითებს კონკრეტულად რომელი კატეგორიის ნებართვა სურს გაიცეს მასზე. ამასთან, ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია გაიცეს როგორც „A" ისე „B" კატეგორიის რამდენიმე ნებართვა, თუმცა, იგივე სატრანსპორტო საშუალებაზე დაუშვებელია პირზე ორივე კატეგორიის ნებართვის გაცემა. ასევე, „B" კატეგორიის ნებართვის მფლობელს, მომსახურების გაწევისას, ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების განთავსება.

მომხსენებელმა იქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, **„B"** კატეგორიის ნებართვის მოპოვებისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობის - ავტოსატრანსპორტო საშუალების საჭის მარცხნივ მდებარეობის შესახებ ჩანაწერი ამოქმედდება **2021 წლის პირველ იანვრიდან.**

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების ფერის ცვლილების (თეთრი ფერით) და ქიმწმენდის ვაუჩერების გაცემის ორგანიზებას, სურვილის შემთხვევაში თუ:

- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით და განსაზღვრულ ვადაში არ მიუმართავს ვაუჩერ(ებ)ის გაცემის თხოვნით;

- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 11 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება გამოშვებულია 2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით;
- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 11 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სატრანსპორტო საშუალების შეცვლის გამო მოუწია ახალი ნებართვის აღება და ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება გამოშვებულია 2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

აზრი გამოთქვა:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხთან დაკავშირებით **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებული, დადგენილების პირველი მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტით დამატებული მე-3 მუხლის 6[4] პუნქტის წარმოდგენილი რედაქცია გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით **ბატონმა ლევანმა** განმარტა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ფორმულირება ტექნიკურად დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მერაბ მამულაშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეების მოთხოვნა კოტე აფხაზის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებით და დასამტკიცებლად წარმოდგენილია პროექტი, სადაც, **ავტობუსის (M3 კატეგორია) N50, 55, 71 მარშრუტებზე იცვლება მოძრაობის სქემა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე ევროპის მოედნიდან ნაცვლად რიყის, მარცხენა სანაპიროს და ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდისა, მოხვდებიან კოტე აფხაზის, თავისუფლების მოედნის და ალექსანდრე პუშკინის ქუჩის გავლით.** აღნიშნული მარშრუტები კოტე აფხაზის ქუჩაზე მოძრაობას განახორციელებენ „MAN-''ის მარკის ახალი ავტობუსებით.

ამასთან, იცვლება ავტობუსი N85 მარშრუტის საწყისი პუნქტის მდებარეობა, სადაც არსებული ილია ჭავჭავაძის გამზირი N41-ის მიმდებარე ტერიტორიის ნაცვლად, საწყისი პუნქტი განისაზღვრა მერაბ კოსტავას ქ. N68-ის მიმდებარედ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის **,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016 წლის 27 დეკემბრის N33-99** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საკრებულოს მოქმედი **№33-99** დადგენილების მიხედვით პარკირების საფასური განსაზღვრულია მხოლოდ 1 კვირის, 6 თვის და 1 წლის მიხედვით, რითაც სარგებლობენ სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, პარკირების საფასური, უკვე არსებულ დროის მონაკვეთთან

ერთად, დგინდება ზონის მიხედვითაც და განისაზღვრება 3 ზონა - პირველი („A"), მე-2 („B") და მე-3 („C"). ამასთან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, რომ დღე-ღამის განმავლობაში ზონალური პარკირების 4 სხვადასხვა ადგილზე სატრანსპორტო საშუალების პარკირებისას პირველი 15 წუთი იყოს უფასო; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს, რომელსაც საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება უფლება აქვს ამ უძრავი ქონებიდან 100 მეტრის რადიუსში არსებულ ზონალურ პარკირების ადგილზე, ისარგებლოს უფასო პარკირებით მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე. ამავე დროს, პარკირების რეგულირების წესს ემატება დანართი 3, რომელიც განსაზღვრავს პარკირების ადგილის აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნების ფორმას და ზომებს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალება გათავისუფლდება დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურის გადახდისგან, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია №33-99 დადგენილების მე-3 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის ოდენობას დროის მონაკვეთის და ზონის მიხედვით, ჩაემატოს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ **სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან/და მესაკუთრე დროის მონაკვეთის მიხედვით საფასურის გადახდის შემთხვევაში არ თავისუფლდება ზონის მიხედვით დადგენილი პარკირების საფასურის გადახდისაგან.**

ბატონი ლევანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- ,,4. **დადგენილების** პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის"

ასევე, დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული №33-99 დადგენილების მე-3 მუხლში შესატანი ცვლილება გასწორდეს სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით და 3^2 და 3^3პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, სასურველია დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„15. პარკირების ადგილზე პარკირება დასაშვებია ყველა იმ სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომელზეც გადახდილია პარკირების საფასური. დაუშვებელია ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პარკირების ადგილის პარკირებისთვის გამოსაყენებლად გადაცემა კონკრეტული პირისთვის ან ამ პირის მიერ განსაზღვრული პირებისთვის."

აგრეთვე, ტექნიკურად გაიმართოს პროექტით წარმოდგენილი წესის **მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.**

თავმჯდომარის თქმით, პროექტით წარმოდგენილი წესის **მე-10 მუხლის 2[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2[1]. იურიდიული პირების და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პარკირების საფასურის გადახდის ფორმა განისაზღვრება პარკირების ოპერატორის მიერ.";

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით ასევე სასურველია დაიხვეწოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი **წესის მე-14 მუხლის მე-5[1] პუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.**

ზემოხსენებულ შენიშვნებს დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს **რეორგანიზაციის** შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ საკითხის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენა.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაცია ხდება, სისტემური და მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, სამსახურისთვის გარკვეული უფლებამოსილებების დამატების გამო.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: 01.14.06.003.048)** და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. #30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: 01.17.01.048.021)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. #30-ში მდებარე 394 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას.

ქალბატონი ნინოს თქმით, შპს „04"-ის დირექტორმა, არაერთგზის, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - **ქალაქ თბილისში, გოგებაშვილის I შესახვევი, გუნიას გასასვლელში მდებარე 4124 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.02.069.073) გაცვლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებში.**

როგორც ქალბატონმა ნინომ განმარტა, კომპანია თავდაპირველად ფლობდა 11409 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელზეც გაცემული იყო ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველოს სამშენებლო პასპორტი, 1998 წელს კომპანიას იჯარით გადაეცა ინდივიდუალური

ბინათმშენებლობისთვის. ამავე წელს, კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას მიწის ნაკვეთის ნაწილზე გადაეცა საკუთრების უფლება. მათი მხრიდან მშენებლობის განხორციელებისთვის ჩატარებულ იქნა მოცულობითი სამუშაოები, ხოლო, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე კომპანიას შეუზღუდეს სამშენებლო მოქმედება და გარე ფაქტორების ჩარევით, კომპანია იძულებული გახდა მიწის ნაკვეთის დიდი ნაწილი გადაეცა სხვა კომპანიისთვის, რომელიც ზონის ცვლილების უფლების მიღების შემდგომ ახორციელებს პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის მოპოვებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია კომპანიის საკუთრებაში არსებული **ლანდშპტურ-სარეკრეაციო ზონაში** მდებარე მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გასხვისება, რელიეფის შენარჩუნების პირობით. ამასთან, მეორე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. #30-ში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებებით, დადებითი შეფასება მიეცა მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხს, გარკვეული რეკომენდაციით, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთის განვითრებისას გარკვეული პირობების გათვალისწინებას.

ქალბატონი კვეტენაძის თქმით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 2019 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით განისაზღვრა **3 161 150 ლარისა და 366 420 ლარის ოდენობით,** შპს „04"-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2019 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით **3 679 945 ლარის ოდენობით.**

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული კომპანია უარს აცხადებს გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობის მოთხოვნის უფლებაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №01.14.06.003.049)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, კომპანიის, **„რემ ინტერნეიშენელი"** საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ბენდელიანის და ალექსიძის ქუჩებს შორის მდებარე **1200 კვ.მ. (ს/კ: №01.10.13.040.021)** მიწის ნაკვეთის გაცვლა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ მიწის ნაკვეთში, საპრივატიზებო საფასურით - **1 000 (ათასი) ლარის** ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ **შპს „რემ ინტერნეიშენელის"** საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს 2008 წელს განესაზღვრა ქალაქგეგმარებითი პარამეტრები: **კ1-0,7; კ2-4.0.** ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ ნაკვეთზე დადგინდა ქალაქმშენებლობითი პირობები, ხოლო, ფუნქციურ ზონად მითითებულ იქნა **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (საზ-1).** შემდეგ პერიოდში დაწყებული სამშენებლო პროცედურების განხორციელების პროცესში დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთს დადებული ქონდა სპეციალური ზონა. შემდგომში, სსიპ- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქალაქმშენებლობით პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა მრავალფუნქციური შენობა (საოფისე, საცხოვრებელი). მაგრამ მიწის ნაკვეთზე წარდგენილი პროექტის შეთანხმების საკითხის განხილვისთვის, **სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის** გადაწყვეტილებით აღნიშნულმა უწყებამ მოითხოვა ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის დაყენება (ვინაიდან ტერიტორიაზე შეცვლილი იყო ფუნქციური ზონა). კომპანიამ თავის მხრივ, მოითხოვა ამ ფუნქციური ზონის საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ით ცვლილება, რაზედაც უარი ეთქვა **ქ. თბილისის მთავრობის განკარგულებით.**

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანება საკმაოდ ინტენსიურია, რის გამოც საჭიროა მეტი საზოგადოებრივი სივრცის არსებობა.

როგორც **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის გასხვისება, რელიეფის (ფერდის) შენარჩუნების პირობით

დასასრულს, **ქალბატონმა ნინომ** განმარტა, რომ გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **19200 კვ.მ** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, **საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 344 000 (მილიონ სამას ორმოცდაოთხი ათასი) ლარის ოდენობით.** ხოლო ზემოაღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული **1200 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **1 343 686 (მილიონ სამას ორმოცდასამი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსი) ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სათაურში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ასევე, მიზანშეწონილია რომ, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს, გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული, მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: #01.17.14.001.301)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე **3069 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას, ციალა ლობჟანიძის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბროლოსანის ქ. #25-ში მდებარე **469 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის **(ს/კ: #01.10.13.025.013)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საპრივატიზებო საფასურით - **42000 (ორმოცდაორი ათასი) ლარი.**

ქალბატონი ნინოს თქმით, ციალა ლობჟანიძის მიერ, 2012 წელს შეძენილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი პავილიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობა გამოთქვეს მიმდებარე კორპუსების მაცხოვრებლებმა. საკითხის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდანაც ვერ იქნა მიღებული მისთვის სასურველი პოზიცია ნაკვეთის განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დასკვნით, ზემოაღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს შიდა კვარტალური სამანქანო გზისთვის განკუთვნილ ტერიტორიას და წარმოადგენს სამშენებლო განვითარებისთვის შეუსაბამო ნაკვეთს. სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად არ მიიჩნია ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს, გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული, მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე (ყოფილი ოჟიოს) არსებული მიწის ნაკვეთების **(ს/კ: №01.10.13.033.926; №01.10.13.033.927; №01.10.13.033.159)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, მიროტაძის ქუჩაზე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში **არსებული 145 კვ.მ. 2 კვ.მ. და 1 კვ.მ.** მიწის ნაკვეთების კერძო პირებისთვის გადაცემა, ხოლო სანაცვლოდ, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების **(ს/კ: #01.10.13.033.365; #01.10.13.033.930 #01.10.13.033.921 #01.10.13.033.922)** თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება.

ქალბატონი ნინოს თქმით, მიროტაძის ქუჩის მაცხოვრებლებმა განცხადებებით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვეს აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე, მათ თანასაკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ნივთების გაცვლა მიმდებარედ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ **145 კვ.მ. 2 კვ.მ. და 1 კვ.მ.** მიწის ნაკვეთებში. მიროტაძის ქუჩის მაცხოვრებლებლების მიერ მოთხოვნილი ნაკვეთები მოქცეულია გრგ-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი გეგმარებითი ერთეულის („სექტორი-2") საზღვრების ფარგლებში და გათვალისწინებულია მიროტაძის ქუჩაზე დაგეგმილი, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დამტკიცებულ მრავალსართულიანი სახლის პროექტში და ამ პროექტის განხორციელება საჭიროებს მათ გამოყენებას და ათვისებას. მისივე თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური არ არის წინააღმდეგი, მოხდეს ნაკვეთების მონაცვლეობა და ტერიტორია განვითარდეს **2011 წელს დამტკიცებული გრგ-ს კორექტირებული პროექტის შესაბამისად.**

მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ: **ექსპერტიზის დასკვნით:**

- **#01.10.13.033.365** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, დამკვეთის მოთხოვნით შეფასდა როგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი **(11 კვ.მ.)**, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 9532 ლარის ოდენობით.**

- **#01.10.13.033.922**საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, დამკვეთის მოთხოვნით შეფასდა როგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი **(25 კვ.მ.)**, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით (მცირე ნაწილი ტზ-1-ის სტატუსით) და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 20674 ლარის ოდენობით.**

- **#01.10.13.033.930**საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **60 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი შეფასდა საზოგადოებრივ-საქმიანიზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით (მცირე ნაწილი ტზ-1-ის სტატუსით) და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 47239 ლარის ოდენობით.**

- **#01.10.13.033.921**საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, დამკვეთის მოთხოვნით შეფასდა როგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი **(52 კვ.მ.)**, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით (მცირე ნაწილი ტზ-1-ის სტატუსით) და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 40940 ლარის ოდენობით.**

- **#01.10.13.033.159** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **1 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი შეფასდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 880 ლარი სოდენობით.**

- **#01.10.13.033.926** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **149 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი შეფასდა სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სტატუსით (მცირე ნაწილი - საზოგადოებრივ-საქმიანიზონა 1-ის სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 77720 ლარის ოდენობით.**

- **#01.10.13.033.927** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **2 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი შეფასდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1760 ლარის ოდენობით.**

დასასრულს, **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ უძრავი ნივთები შეფასდა მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მიღებამდე. საექსპერტო დასკვნებში მითითებულია ახალი გენგეგმის მიღებამდე მოქმედი ფუნქციური ზონები და შესაბამისი კოეფიციენტების (კ1, კ2, კ3) მაჩვენებლები. შეფასების შემდგომ, მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმით, შეფასების საგნებს მიენიჭა განსხვავებული ფუნქციური ზონა (საცხოვრებელიზონა 6 (სზ-6). მიუხედავად ამ გარემოებისა, აღნიშნული განკარგულების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული შეფასებების გათვალისწინებას და მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება მიეთითოს სწორი ფორმით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ და 1680 კვ.მ მიწის ნაკვეთების **(ს/კ: N01.14.06.006.091; N01.14.06.006.092)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, შპს „ელიტ ინვესტის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ არსებული **1819** კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.14.07.011.001) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება და სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე **3000 კვ.მ და 1680 კვ.მ** მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის გადაცემა, საპრივატიზებო საფასურით - **62 000 (სამოცდაორი ათასი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, დამტკიცებული იყო ზემოაღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, თუმცა, შემდგომში მიღებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა სასტუმროს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მინიჭებული ჰქონდა სარეკრეაციო ზონა 2-ის სტატუსი, ხოლო, ახალი გენერალური გეგმის მიხედვით ფუნქციური ზონა შეიცვალა და ნაკვეთის უმეტეს ნაწილს მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის სტატუსი.

მომხსენებლის თქმით, მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- №002752919 ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.06.006.091) საბაზრო **ღირებულება, 2019**

წლის 23 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 642 000 (სამი მილიონ ექვსას ორმოცდაორი) ლარის ოდენობით.

- ამავე ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 1680 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.06.006.092) საბაზრო **ღირებულება, 2019 წლის 23 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 317 520 (სამას ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით.**

- №000920219 ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, „დოსააფის" შენობის მიმდებარედ არსებული 1819 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობება (ს/კ: N01.14.07.011.001) დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, შეფასდა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის N3682511 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გათვალისწინებით და საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 897 705 (სამი მილიონ რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ხუთი) ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - **„62 000 (სამოცდაორი ათასი) ლარი".**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი N5-ში **(საკადასტრო კოდი: N01.17.02.069.014)** მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი N5-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.391.518 განკარგულებით გათვალისწინებულ პირთათვის, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, აღნიშნული პირები მათ მიერ დაკავებულ ფართებში ცხოვრობენ 1992-1995-1999 წლებიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათი ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუს N19-ში **(საკადასტრო კოდი: №01.13.03.032.001)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის კორპუს N19-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქეებისთვის - მაია ტეფნაძის, ლაშა კიკნაძის და გიორგი გიგაშვილისთვის, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მოქალაქე მაია ტეფნაძეს ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა 67.8 კვ.მ საცხოვრებელი ფართი; ლაშა კიკნაძეს - 129,19კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო გიორგი გიგაშვილს - 63.01 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

დასასრულს, **ქალბატონმა ნინომ** განმარტა, რომ ზემოაღნიშნული პირების დაინტერესებაში არსებულ საცხოვრებელ ფართებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II-ის ქუჩა N14-ში **(საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.020.01.003)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II-ის ქუჩა N14-ში, ბინა N3-ის ფართით 109.43 კვ.მ მოქალაქე **დემურ სადღობელაშვილისთვის (პ/ნ 01008004532), სიმბოლურ ფასად-1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.**

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილისა და ვაკის რაიონის გამგეობის წყნეთის საუბნო განყოფილების წერილის თანახმად, მოქალაქე დემურ სადღობელაშვილი **1991** წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს საპრივატიზებო საფასურის **„სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად"** მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N35-ში **(საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.006.01.014)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N35-ში მდებარე **48.00 კვ.მ** ფართის, მოქალაქე **ბარამ ბარამიძისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის განცხადებით, პეკინის გამზირი N35-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი ეკუთვნოდა მოქალაქე ლუდმილა ბოგოიავლენსკის, რომელიც 2004 წელს გარდაიცვალა. ქალბატონი ნინოს თქმით, ბარამ ბარამიძის ოჯახი სისტემატურად მზრუნველობას უწევდა ლუდმილა ბოგოიავლენსკის და მისი გარდაცვალების შემდეგ ბარამ ბარამიძე ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ ფართში და იხდის კომუნალურ გადასახადებს.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ბარამ ბარამიძე გახლავთ კომპოზიტორთა კავშირის წევრი, „მუსიკალური ფონდის“ გენერალური დირექტორი და ქართული მუსიკალური ინტელიგენციის გამორჩეული წევრი. როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, კომპოზიტორთა კავშირის თხოვნაა ბარამ ბარამიძის ოჯახს საკუთრებაში გადაეცეს აღნიშნული საცხოვრებელი ფართი.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის **„სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად“** მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა N2ა-ში **(საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.020)** მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქუჩა N2ა-ში მდებარე უძრავი ქონების, მოქალაქე დავით მერმანიშვილის (პ/ნ: 31001035437), კორნელი კუპატაძის (პ/ნ: 31001013100), ნინო კალმახელიძის (პ/ნ: 01009008927), ნუცა გაგუას (პ/ნ: 01008055543) და მანანა ქვარაიასთვის (პ/ნ: 01001059779) **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად,** საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დავით მერმანიშვილს ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა 60.48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, კორნელი კუპატაძეს - 64.48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ნინო კალმახელიძეს - 58.27 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ნუცა გაგუას - 15.96 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო მანანა ქვარაიას - 60.48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

როგორც **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები საქენერგოს ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომის ოქმის საფუძველზე 1991-1993 წლებში შეასახლეს „საქმთავარენერგოს" საერთო საცხოვრებელში.

ქალბატონი ნინოს თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების წერილის თანახმად, აღნიშნული პირები დაინტერესებაში არსებულ საცხოვრებელ ფართებს იკავებენ 1991-93 წლიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2019 წლის 17 აპრილის განკარგულების სათაური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში **(საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003)** მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში მდებარე უძრავი ქონების, **ალექსანდრე კოპალეიშვილისათვის (პ/ნ: 01002026448), მაყვალა მეკოკიშვილისათვის (პ/ნ:36001042346) და ჯემალ ცეცხლაძისათვის (პ/ნ:39001035640), სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას,** რომლებიც 1997-99 წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის წერილებით დასტურდება, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები **1997 წლიდან დღემდე** ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი **N117-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.099)** მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N117-ში მდებარე უძრავი ქონების, მოქალაქეებისთვის - **გიორგი ნამგალაურის, ელისო აფხაზავას, თამაზი პარმისაშვილის, ქეთევან თოფურიძის და მარეხი სააკაშვილისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები **2009** წლიდან ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის #19.526.693 განკარგულების სათაური მიეთითოს სრულყოფილად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში **(საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.523)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში მდებარე **24.05 კვ.მ** საცხოვრებელი ფართის მოქალაქე **ზაირა შამოევისთვის** (პ/ნ 01027052329) **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის წერილის მიხედვით დასტურდება, რომ მოქალაქე ზაირა შამოევი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე დაახლოებით **20 წელია.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24-25. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/21) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ.მ ფართის **(საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.387.01.01.012)** ყოფილი საბინაო-სამშენებლო

კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" და „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/21) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71.26 კვ.მ ფართის **(საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014)** ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის №419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ნინო კვეტენაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტებით ხდება, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ. მ. და 71.26 კვ.მ საცხოვრებელი ფართების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის - **ნანა კაჭარავასთვის** (პირადი ნომერი: 01017002698) და **ქეთევან ბედუკაძისთვის** (პ/ნ 01022003212), **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ აღნიშნული მოქალაქეები არიან სოციალურად დაუცველი პირები.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, **ნანა კაჭარავას** და **ქეთევან ბედუკაძეს**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების საფუძველზე, გადეცათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6738 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.02.002.028,) წილობრივად 200 კვ. მ. და 240 კვ.მ მიწის ნაკვეთები. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მესამე პირთა მხრიდან წარდგენილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე წარმოქმნილი სასამართლო დავის გამო, დღემდე ვერ ხერხდება ზემოაღნიშნულ მიწაზე სამშენებლო პროექტის განხორციელება და შესაბამისად, ნანა კაჭარავასა და **ქეთევან ბედუკაძის** რეალური დაკმაყოფილება.

დასასრულს, **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ **ნანა კაჭარავა** და **ქეთევან ბედუკაძე** უარს აცხადებნ მათთვის გადაცემულ 200 კვ. მ. და 240 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ. მ. და 71.26 კვ.მ ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ 24-ე საკითხთან დაკავშირებით, **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში და პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს პირი, რომელსაც გადაეცემა განკარგულების პროექტში აღნიშნული უძრავი ქონება, ასევე, სწორად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის № 19.218.315 განკარგულების სათაური.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ 25-ე საკითხთან დაკავშირებით, **თავმჯდომარემ** ასევე განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი,** ამავე კანონის, **75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი** და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N21-85** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.**

ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ასევე განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების მიმღები სუბიექტის სახელი, გვარი და შესაბამისი პირადი ნომერი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულებათა პროექტებს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ.

მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის **(ს/კ: N72.13.03.111)** დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, იაგო წიკლაურს, წყალდიდობის შედეგად დაზიანებული სახლის სანაცვლოდ, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცა, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, აღნიშნულმა პირმა უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოსცა საცხოვრებლად უვარგის მდგომარეობაში მყოფი მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ქალბატონი ნინოს თქმით, უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შემდგომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების აღნიშნული პირისთვის გადაცემის თაობაზე, ვინაიდან იაგო წიკლაურმა შესაძლებლად მიიჩნია, საცხოვრებელი სახლის აშენება საკუთარი სახლის დემონტაჟის შედეგად მიღებული ძველი მასალებით.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე იაგო წიკლაურისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი მატერიალური სახის ქონების საპრივატიზებო საფასური - **სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ **4 კვ.მ** მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №01.17.13.041.024)** და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №01.17.13.041.025)** პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის (ს/ნ: 406092650)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „Unique Stay Hotels"-ისთვის** ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა №50/18-ის მიმდებარედ, 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **გამწვანებისთვის შემოსაზღვრული სივრცის (საყვავილის ფუნქციონირების) მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **2032 წლის 5 ივლისამდე.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **500 (ხუთასი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, აღნიშნული კომპანია საკუთრებაში ფლობს, ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქუჩა №50/18-ში მდებარე უძრავი ქონებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან **(ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ: 01006006650)** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, იანა ღუდუშაურისთვის, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 20 კვ. მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრება **4 (ოთხი) წელი;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **3800 (სამი ათას რვაასი) ლარი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №3-ის მიმდებარედ **65 კვ.მ** მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №01.14.07.003.041)** პირადი განკარგვის წესით **შპს „ევროპროდუქტისთვის" (ს/ნ: 202227134)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „ევროპროდუქტისთვის"** ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №3-ის მიმდებარედ **65 კვ.მ** მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ავტოსადგომის მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება **10 (ათი)** წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება-**1400(ათას ოთახასი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული იურიდიული პირი მომავალი მესაკუთრეა ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი **N7-ში** მდებარე უძრავი ქონების.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში და პირველ პუნქტში გასწორებულ იქნას ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართის **(საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.127)** პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ: 404502098)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „აგროჰაბისთვის"** ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **კვების ობიექტის მოწყობისა და ფუნქციონირების მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება **2 (ორი) წლის ვადით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **-36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.009)** და ქ. თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯისთვის" (ს/ნ: 404398237)** სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ჯი ემ ჯისთვის" ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ჰიდროელექტროსადგურის „დიღომიჰესის" სამშენებლო ბანაკის, საწყობისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება **4 (ოთხი) წლის ვადით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **-116 700 (ას თექვსმეტი ათას შვიდასი) ლარი.**

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვა, შემდგომში, ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და

საწყობის მოწყობის და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების მიზნით, არსებული ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანულ სამსახურთან შეთანხმებას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და პირველ პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388)** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 28 სექტემბრის N006754018 დასკვნის საფუძველზე მიღებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და **საკადასტრო კოდების მითითების ნაწილში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე, უნდა მიეთითოს მთავრობის N19.420.585 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, აუქციონში გამარჯვების შემდგომ, **შპს "კონსალტინგ გრუპს"** (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი"), ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში უნდა განეთავსებინა რეტერატები (საზოგადოებრივი საპირფარეშოები), ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით.

ქალბატონი ნინოს თქმით, გარკვეულ ადგილებზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შეუძლებლობისა და ასევე, მოსახლეობის მხრიდან კატეგორიული წინააღმდეგობის შედეგად აღნიშნული კომპანიის მხრიდან ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულფასოვნად და დროულად შესრულება.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N216** განკარგულებაში, რომლის მიხედვით, შპს "კონსალტინგ გრუპი" ვალდებული იქნება, ნაცვლად, **2018 წლის 31 ოქტომბრისა**, განათავსოს რეტერატ(ებ)ი არაუგვიანეს **2019 წლის 31 ივლისამდე.**

დასასრულს, **ქალბატონმა კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება, ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, 2018 წლის 20 აგვისტოდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" გათავისუფლება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. N7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის **(ს/კ: N01.13.07.021.321)** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროსთვის" (ს/კ 201950022)** ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 384.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას, **საპრივატიზებო საფასურით - 840 000 (რვაას ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.**

ქალბატონი ნინოს თქმით, სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს" აღმასრულებელმა დირექტორმა მერიისგან მოითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარე ტერიტორიის შესყიდვა იმ მიზნით, რომ კომპანიას დაგეგმილი აქვს 2017 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად დამწვარი „ბავშვთა სამყაროდ" ცნობილი სავაჭრო ცენტრის აღდგენა და ფუნქციონირების განახლება, სადაც განხილული იქნება ხანძრით

დაზარალებულ პირთა კომერციული საქმინობის გასაგრძელებლად დაბრუნების საკითხიც, მათი სურვილის შემთხვევაში.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, სამშენებლო პროექტი ითვალისწინებს კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (ს/კ: N01.13.07.021.004) გვერდით არსებული 384 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყენებას და ათვისებას. კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიასთან გაერთიანების და მასთან ერთად ერთიანი სამშენებლო განვითარების მიზნით 384 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით პოზიცია ეთხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვა **დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე.**

ასევე მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებაში არსებული 384 კვ.მ ფართობის ტერიტორია დარეგისტრირდა N01.13.07.021.321 საკადასტრო კოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (ს/კ: N 01.13.07.021.004) სამშენებლო განვითარების პროექტის ფარგლებში მის გამოყენებასთან და ამ მიზნით, აღნიშნული 384 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროსთვის" საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით პოზიცია ეთხოვა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" სააგენტოს 2019 წლის 22 აპრილის წერილით. პასუხად მიღებული 2019 წლის 1 მაისის N01/2895 წერილით, ვინაიდან მოთხოვნილი ტერიტორია მდებარეობს მეტროსადგური „ვაგზალი-3"-ის მეორე ამოსასვლელის მომიჯნავედ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" მიზაშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით კომპანიის სასარგებლოდ დატვირთვა, მგზავრთა თავისუფალი გადადგილების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მიწის ნაკვეთი შეფასდა **საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. N 002534119 ექსპერტიზის დაკვნით,** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, **2019 წლის 15 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 838 238 (რვაას ოცდათვრამეტი ათას ორას ოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თანახმად **უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 840 000 (რვაას ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით**

მომხსენებლის თქმით, **საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა: პრივატიზების საგნის ტერიტორიის არეალში უსასყიდლო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სივრცის მუდმივად შენარჩუნება ტერიტორიაზე გათვალისწინებულ ობიექტში.**

აგრეთვე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გასაფორმებელი **ხელშეკრულების 5.10** პუნქტის თანახმად „ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული კონფიგურაციის და ფართობის სერვიტუტით უნდა დაიტვირთოს პრივატიზების საგნის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ობიექტის გარკვეული ფართობი, ამ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ამავე **ხელშეკრულების 5.16** პუქტის თანახმად ქონების შემძენი ვალდებულია, ტერიტორიაზე გათვალისწინებული ობიექტის აშენების და ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი თვის ვადაში შპს „ნიუ სთარს" დროებით სარგებლობის უფლებით (იჯარა, ქირა ან სხვა ფორმა) გადასცეს 160 კვ.მ კომერციული ფართი აღნიშნულ კომპლექსში - იმ ვადით, რა ვადითაც პრივატიზების საგნის ტერიტორიაზე იჯარის საგანს (160 კვ.მ ფართობს) შპს „ნიუ სთარი" გამოიყენებდა პრივატიზების საგნის სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს" საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირებიდან 2029 წლის 22 მაისამდე.

აგრეთვე ამავე **ხელშეკრულების 5.17** პუნქტის შესაბამისად ქონების შემძენი აცხადებს, რომ ტერიტორიაზე აშენებულ ობიექტში განიხილავს ხანძრით დაზარალებულ პირთა დაბრუნების საკითხს, მათი კომერციული საქმინობის გასაგრძელებლად, ქონების შემძენის შესაძლებლობების, აღნიშნულ პირებთან ერთობლივი ობიექტური შეთანხმების და ამ საკითხის ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია ხელშეკრულების 5.10 პუნქტში შევიდეს ცვლილება, ნაცვლად ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადისა მიეთითოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მომენტიდან. ასევე, მიზანსეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, **840 000 (რვაას ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "2016 წლის 19 აპრილს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასთან (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი-N160405188) დაკავშირებით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2016 წელს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების შემდგომ, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შპს „ალმას" ვალდებულებას წარმოადგენდა 2017 წლის 18 აპრილამდე განეხორციელებინა **700 ერთეული** საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის კონსტრუქციების მონტაჟი. აქედან, შპს „ალმა"-დღეის მდგომარეობით დაახლოებით **500(ხუთასი)** ერთეულამდე მოსაცდელი დაამონტაჟა, რაც შეეხება დარჩენილ მოსაცდელებს, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მზად იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეესრულებინა დარჩენილი მოსაცდელების მონტაჟი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმების მიუღწევლობის გამო, მოსაცდელების დარჩენილი რაოდენობის მონტაჟის კონკრეტული ვადის პროგნოზირება შეუძლებელი გახდა.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, **2018 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 6 მაისამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმას"გათავისუფლებას.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, 2018 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 6 მაისამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმას" (ს/კ: 204873388) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა- **ელენე ოზაშვილმა,**

ასევე, განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის **N46** განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიას „ქართლიენერჯი“ საიჯარო პირობების მიხედვით ვალდებულება ჰქონდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მოეხდინა ელ. აბონენტად რეგისტრირება ყველა ობიექტის. ქალბატონი ნინოს თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის წესით გადაცემულ გარკვეულ ლოკაციებზე დაგეგმილია ე.წ. bus line-ის გაყვანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ. აღნიშნულ პროექტის არეალში მოხვდა 15 ლოკაცია რომელიც სააგენტოს მიერ განიკარგა შპს „ქართლიენერჯი“-ზე.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადის არსებობა აღარ არის რელევანტური, რადგან 30 ლოკაციიდან იცვლება 15 ლოკაცია შესაბამისად კომპანია ვერ უზრუნველყოს მითითებულ ვადაში ელ. აბონენტად რეგისტრირებას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით დასახვეწია, შესაბამისად კომისია შეიმუშავებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელიც, დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაზე დანართის სახით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განიხილოს საკრებულომ უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

37. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს გააცნო, ფრაქციის **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის - ბექა დავითულიანის წერილი, რომელიც ეხებოდა, თარაშ შურღაიასა და მიხეილ ამაშუკელის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩევის საკითხს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი მიიღეს ცნობის სახით.

მოისმინეს:

38-43. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - **თინათინ ნიბლოშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა:

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ“

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის II ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მანანა ლოლაძის სახელის და რეხის III ქუჩის მონაკვეთისთვის მანანა ლოლაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ”

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, დედაქალაქში, მხოლოდ 4 (ოთხი) გეოგრაფიული ობიექტი ატარებს, ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დროს გმირულად დაღუპული მოქალაქეების - ნათია ბაშალეიშვილის, ეკა ბეჟანიშვილის, თამარ ჭოველიძის და მანანა მელქაძის სახელებს. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში არსებული უსახელო ქუჩებისათვის, 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიისას დაღუპული გმირების სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის ქ. თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კერძოდ,

38. მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩას ენიჭება **თამარ მამულაშვილის** სახელი;

39. რეხის I ქუჩის მონაკვეთს ენიჭება **თამუნა დოლიძის** სახელი;

40. რეხის I ქუჩის მონაკვეთს ენიჭება **თინა ენუქიძის** სახელი;

41. რეხის II ქუჩას ენიჭება მანანა ლოლაძის სახელი და რეხის III ქუჩის მონაკვეთს ენიჭება **მანანა ლოლაძის** I ჩიხის სახელი;

42. რეხის შესახვევს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას ენიჭება **ელისო ჭიპაშვილის** სახელი;

43. ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ენიჭება **მზია ჯინჭარაძის** სახელი.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, წარმოდგენილი განკარგულებების პროექტების მიმართ გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

- **მიზანშეწონილია, პროექტების მიღების თვედ, ნაცვლად „მარტი"-სა, მითითებულ იქნას „მაისი";**

- **შეიცვალოს ყველა პროექტის ნუმერაცია და სამართლებრივი საფუძვლების გარდა, ათვლა დაიწყოს პროექტების პუნქტებიდან, შესაბამისი თანმიმდევრობით;**
- „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისათვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტში, სამართლებრივი საფუძვლების შემდგომ, „ა" ქვეპუნქტში, **„მონაკვეთის"-ს მითითების ნაწილში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიეთითოს შემდეგი სახით:**

„ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთს (**მონაკვეთი** ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად) მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

- ამასთან, განკარგულებების პროექტების ნუმერაციის ზემომითითებული სახით შეცვლის შემდგომ, სასურველია, ყველა პროექტის „ა" ქვეპუნქტში მითითებულ ჩანაწერში, დასაწყისში ჩაემატოს სიტყვები: **„ქალაქ თბილისში"** და თითოეული მათგანი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებს არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44-52. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - **თინათინ ნიბლოშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა;

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორ რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

44. მომხსენებლის განმარტებით, გათვალისწინებულ იქნა, მოქალაქეებისა და სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაალ აბაშიძის თხოვნა და სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩას, IV ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ შესახვევს ენიჭება ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელი, რომელიც იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. 1968 წლიდან ორი ათეული წლის განმავლობაში კი ხელმძღვანელობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

45. მომხსენებელმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 45-ე საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საკრებულოს წევრის ქეთევან მამულაშვილის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გ. კვესიტაძისა და აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველის გივი აბდუშელიშვილის თხოვნის გათვალისწინებით, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს ენიჭება სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელი.

46. დღის წესრიგით გათვალისწინებულ 46-ე საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა თინათინმა განმარტა, რომ ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს ენიჭება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი.

47- 48. თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, ნავთლუღის მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, ხდება სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭება, ხოლო სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს ენიჭება მხატვარ ირინა შტენბერგის სახელი.

49. საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა, „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე და განმარტა, რომ კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ლევან ჯაფარიძისა და იოსებ გრიშაშვილის ქუჩის მაცხოვრებლების თხოვნის საფუძველზე, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩაზე არსებულ უსახელო სკვერს ენიჭება პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელი.

50. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩას ენიჭება საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელი.

51. დღის წესრიგით გათვალისწინებულ 51-ე საკითხთან დაკავშირებით, **თინათინ ნიბლოშვილმა** განმარტა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანთა თხოვნის საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევს (V შესახვევი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად) და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს **გენერალ-მაიორ რომან გვენცაძის სახელი.** რაც შეეხება მელაანის V შესახვევს, 2005 წელს მელაანის ქუჩას მიენიჭა ჯორჯ ბუშის სახელი, V შესახვევი კი დარჩა მელაანის სახელით. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით V შესახვევი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

52. ქალბატონი თინათინის თქმით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 52-ე საკითხი ეხება, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. მისივე თქმით, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთს, მასთან არსებული ოთხ შესახვევს, სამ ჩიხსა და ერთ გასასვლელს ენიჭება მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელი.

გადაწყვიტეს:
წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებს არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია